დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 20-საათიან (10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 26-საათიან (14 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2435 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1895 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1415 ლარი.

1[1]. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:
ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის სავალდებულო კვირაში 12-საათიან (6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 6 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 22-საათიან (12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი

საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1950 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1540 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი -თვეში 1180 ლარი.

2^1. წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:
ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე,

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1230 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 995 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი -თვეში 770 ლარი.